



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000062050998220

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 45

02 / დეკემბერი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ დუისში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 36.8.0კვ.მ. ფართისა და მისი მიმდებარე შენობის ა(ა)იპ „მედინა 2015“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს -პირდაპირი განკარგვის წესით, სოფ დუისში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 36.8.0კვ.მ. ფართისა (ს/კ 50.05.34.260) და მისი მიმდებარე შენობის (ს/კ50.05.34.261) ა(ა)იპ „მედინა 2015“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ორი წლის ვადით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყვინიშვილი